საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
ხუთშაბათი
26 თებერვალი
№ 48 (17990)
ფასი 2 კაპ.

მოსკოვი. სკკპ XXVI ყრილობა. **სურათზე:** სხდომათა შორის შესვენების დროს კრემლის ყრილობათა სასახლის ფოიეში ჩვენი ქვეყნის წარჩინებულ მექანიზატორს — პირველ უზბეკ ქალს, რომელიც ბამბის ასაღები მანქანის მართვას დაეუფლა, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს ტ. ახუნოვას შეხვდა აფხაზეთის ასსრ აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ახალგაზრდა მეჩაიე მექანიზატორი ნ. ხასაია. მისთვის ტურსუნა ახუნოვას შრომითი გმირობა მშობელი ხალხის სამსახურის ბრწყინვალე მაგალითია. (საკადრ-საქინფორმის ტელეფოტო).

ალმშენებელთა ოპტიმიზმი

მოსკოვისაკენ, კრემლის ყრილობათა სახახლისაკენ არის ამ დღეებში მიპყრობილი საყოველთაო ყურადღება. ლენინური პარტიის XXVI ყრილობამ, რომელიც აქ მუშაობს, გამოიწვია საბჭოთა ადამიანების, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მშრომელების, მთელი პროგრესული კაცობრობის უდიდესი ინტერესი და ცხოველი გამოხმაურება. იმას, რასაც ლაპარაკობენ ჩვენი პარტიის უმაღლესი ფორუმის ტრიბუნიდან, უურად იღებენ კომუნიზმის მტრებიც, რომლებიც იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ რეალური სოციალიზმის შთამბეჭდავ მიღწევებს, მის მიმზიდველ მაგალითს მსოფლიოს ხალხებისათვის, ქვეყნად მზარდ გავლენას.

დღის წესრიგის მთავარ პუნქტზე — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა და საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. მისი მოხსენება შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაჩინო დოკუმენტია, მას ახალი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მეცნიერული კომუნიზმის თეორიასა და პრაქტიკაში. მოხსენებაში მკაფიოდ არის გაშუქებული ჩვენი პარტიის მრავალმხრივი საქმიანობა მისი წინა ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ნაჩვენებია საბჭოთა ხალხის შესანიშნავი მიღწევები უკანასკნელ ათწლეულში, მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა და მსოფლიო რევოლუციური პროცესის ყოველმხრივი ანალიზი. დასახულია კომუნისტური აღმშენებლობის, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის გზით სსრ კავშირის წინსვლის შთამაგონებელი პერსპექტივები.

„დიახ, საბჭოთა ადამიანები რწმენით შეჰყურებენ ხვალინდელ დღეს, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — მაგრამ მათი ოპტიმიზმი ბედის ნებისმიერთა თავდაჯერება როდია. ჩვენმა ხალხმა იცის: ყველაფერი, რაც მას აქვს, საკუთარი შრომით შექმნა, საკუთარი სისხლით დაიცვა. და ჩვენ ოპტიმისტები ვართ იმიტომ, რომ გვწამს შრომის ძალა. იმიტომ, რომ გვწამს ჩვენი ხალხი. ჩვენ ოპტიმისტები ვართ იმიტომ, რომ გვწამს ჩვენი პარტია, ვიცით, რომ გზა, რომელსაც იგი გვიჩვენებს, ერთადერთი სწორი გზაა!“.

კომუნისტურ შენებლობაში შემდგომი პროგრესის გარანტიას იძლევა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში ნათქვამია, რომ თანამიმდევრულად ხორციელდება პარტიის ეკონომიკური სტრატეგია, რომლის მიზანია მთელი მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის განუხრელი ამაღლება, ეკონომიკის უფრო ღრმა შემობრუნება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მრავალფეროვანი ამოცანებისაკენ. 70-იანი წლების მანძილზე განეულია გიგანტური მუშაობა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღმშენებლობის ყველა მიმართულებით, ჩვენი სამშობლო საბჭოთა ადამიანების დამკვრელური შრომის მეოხებით უფრო გაძლიერდა და დამშვენდა. მეათე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა ეროვნული სიმდიდრე, მისი საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, განმტკიცდა თავდაცვითი ძლიერება, ამაღლდა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის დონე. მაგრამ კანონიერი სიამაყის გამომწვევი დიდი მიღწევების გარდა პარტია ხედავს სიძნელეებსაც, ნაკლოვანებებსაც, გადასაჭრელ პრობლემებსაც. შეძენილ გამოცდილებაზე დაყრდნობით მტკიცედ უნდა დავძლიოთ დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას.

პარტია, რომელიც განსაზღვრავს მომავლის — მეთრამეტე ხუთწლედისა და მთელი 80-იანი წლების ამოცანებს, უზრუნველყოფს თავისი ეკონომიკური პოლიტიკის შემკვიდრეობითობას. ამასთან იგი ითვალისწინებს ქვეყნის დიდ შესაძლებლობებსა და მზარდ მოთხოვნილებებს, იმ ფაქტორებს, რომლებიც ახლანდელ პირობებში არსებულს სამეურნეო განვითარებას. საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება სახალხო მეურნეობის მყარი, შეუნელებელი განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ინტენსიური განვითარების გზაზე ეკონომიკის გადაყვანის დაჩქარების, სსრ კავშირის საწარმო პოტენციალის უფრო რაციონალური გამოყენების, ყველა ხალხების რეზერვების ყოველმხრივი დაზოგვისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების საფუძველზე — ასეა ჩამოყალიბებული დაწყებული ხუთწლედის მთავარი ამოცანა. მისი გადაწყვეტა მოითხოვს, კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ ახალხო მეურნეობის დაგეგმვა და მართვა, მასების შემოქმედებითი ინიციატივა და ენერგია, უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება.

კომუნისტური პარტია ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედად მიიჩნევს უცვლელ მოთხოვნას: ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის. იგი მომავალი ათწლეულისათვის სახავს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ვრცელ პროგრამას, რომელიც მოიცავს მოხმარების სფეროსა და ბინებს, კულტურასა და დასვენებას, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სურსათით, აგრეთვე მასობრივი მოთხოვნის სამრეწველო საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის გაუმჯობესებას. ამასთან, აღნიშნულია საანგარიშო მოხსენებაში, მომწიფებული სოციალიზმის პირობებში სულ უფრო მჭიდრო ხდება ეკონომიკის პროგრესის ურთიერთკავშირი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და სულიერ პროგრესთან. ამ თვალსაზრისით პარტია სახავს ჩვენი საზოგადოების სოციალურ-კლასობრივი და ეროვნული სტრუქტურის განვითარების, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების, საბჭოთა სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის სრულყოფის ამოცანებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო პოლიტიკა, მისი შეუპოვარი ბრძოლა მშვიდობის განმტკიცებისათვის, ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, დაძაბულობის შენელების შენარჩუნებისა და გაღრმავებისათვის განმსჭვალულია მისწრაფებით უზრუნველყოს საჭირო საგარეო პირობები, რათა გადავწყვიტოთ ჩვენს წინაშე მდგომი აღმშენებლობითი ამოცანები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში გაშუქებულია მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის, მათი მჭიდრო ურთიერთმოქმედების განმტკიცების მრავალგვარი ფორმები. ჩვენი პარტია მტკიცედ იცავს განთავისუფლებულ ქვეყნებთან სსრ კავშირის ურთიერთობის განვითარების, მსოფლიო სოციალიზმისა და ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის კავშირის განმტკიცების კურსს. იგი უცვლელად განმტკიცებს სოლიდარობას საერთაშორისო მუშათა კლასთან და მის პოლიტიკურ ავანგარდთან — კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში საბჭოთა კავშირი ერთგულად ახორციელებს მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის, იმპერიალიზმის აგრესიული ბრძოლების მტკიცე მოგერიების ლენინურ პოლიტიკას. თავის მოკავშირეებთან ერთად სსრ კავშირი, ახლა უფრო ვიდრე ოდესმე, ქვეყნად, მშვიდობის მთავარი ბურჯია. სკკპ XXVI ყრილობის ტრიბუნიდან კვლავ გაისმა მგზნებარე მოწოდება — დავიცვათ მშვიდობა, არ დაუშვათ ბირთვული ომი, ავლაგმოთ უაზრო, მეტად საშიში გამალებული შეიარაღება. იგი განმტკიცებულია კონკრეტული წინადადებებით, რომელთა მიზანია საერთაშორისო ვითარების რადიკალური გაჯანსაღება. ეს ინიციატივები ორგანულად განვარეულნენ და ავითარებს ჩვენი პარტიის მშვიდობის პროგრამას თანამედროვეობის ყველაზე მწვავე, აქტუალური პრობლემების შესაბამისად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც დღეს საბჭოთა საზოგადოების ძლევამოსილი წინსვლის გენერალურ მარშრუტს კვალავს, საქმით ახორციელებს ხელმძღვანელ როლს, ავლენს გაზრდილ პასუხისმგებლობას საშობლოს ბედისათვის მეოცე საუკუნის დამლევს, მესამე ათასწლეულის ზღურბლზე. იგი დაუცხრომლად ზრუნავს თავისი რიგების დიდი ბრძოლისუნარიანობისათვის, მთელი შინაპარტიული ცხოვრების გააქტიურებისათვის, პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფისათვის, მახვილი იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმშრდელობითი მუშაობის გაძლიერებისათვის. ჩვენი პარტია ყურადღებით იაზრებს სინამდვილეს, განაზოგადებს საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ მოვლენებს და შემოქმედებითად ავითარებს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

საანგარიშო მოხსენების დებულებებსა და დასკვნებს პარტიის ყრილობის დელეგატები ერთსულოვნად უჭერენ მხარს თავიანთ გამოსვლებში. მათ მხურვალედ იწონებენ მილიონობით კომუნისტი, ყველა საბჭოთა ადამიანი. მტკიცებენა და კრებებზე, შრომითს პატაკებში, დეპეშებსა და წერილებში ისინი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, მის მეთაურს გამოჩენილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, ლენინის დიადი საქმის ერთგულ განმგრძობს, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს უცნადებენ უსაზღვრო ნდობას და დიდ მადლობას უთვლიან იმ ზრუნვის გამო, რომელსაც იჩენენ სოციალისტური საშობლოს აყვავებისათვის, ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის მოახსენებენ საგეგმო დავალებებისა და ვალდებულებების შესრულებას. XXVI ყრილობის მთელი მუშაობა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის მონოლითური ერთიანობის დამაჯერებელი დემონსტრაციაა.

უდიდესი აღფრთოვანების ატმოსფეროში, რომელიც ყრილობაზე სუფევს, გამოდიან საზღვარგარეთელი სტუმრები, მოძმე პარტიების ხელმძღვანელები. მათი სტატეები, იხილე როგორც სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებული მრავალრიცხოვანი გამოხმაურებანი, აღიარებაა საბჭოთა ხალხის დიადი მიღწევებისა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო როლისა საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში, მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის, მყარი მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისათვის, ხალხთა თანამშრომლობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში. აღნიშნულია, თუ რა დაუცხრომელ მოღვაწეობას ეწევა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მეთაური ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელმაც პლანეტის ყველა კონტინენტზე კეთილი ნებით ადამიანების უდიდესი პატივისცემა და ავტორიტეტი მოიპოვა.

ჩვენი მიზანია კომუნიზმი. ლენინის პარტია მიგვიძღვის კომუნიზმისაკენ ერთადერთი სწორი კურსით — აღმშენებლობის კურსით.

ПРАВДА
25 თებერვლის მოწინავე

საინფორმაციო ცნობა

25 თებერვალს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა.

დილის სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. ვ. შჩერბიცკი.

ყრილობამ მოისმინა ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გაკეთა სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ ამხანაგმა ი. ვ. კაპიტონოვმა. ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში პარტიის მორიგი ამოცანებისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშის განხილვაში მონაწილეობდნენ ამხანაგები: ა. პ. ალექსანდროვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ს. თ. მედუნოვი — სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ნ. ელცინი — სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. დ. ჩერვიაკოვი — კიროვის ოლქის კოტელნიჩის რაიონის კოლმეურნეობის „ლენინის გზის“ თავმჯდომარე.

ყრილობამ მოისმინა ამხანაგები: კეისონ ფომვიხანი — ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, იუმეაგიინ ცედენბალი — მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ლი დენ ოკი — კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პრეზიდიუმის წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

შემდეგ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ა. ე. ვოსი — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გ. მ. მარკოვი — სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი.

დილის სხდომაზე ყრილობას მიესალმნენ ამხანაგები: დუშან დრაგოსავაცი — იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მდივანი, ალვარო კუნიალი — პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

პარტიისა და ხალხის დიადი ერთიანობა

24 თებერვალს დილის სხდომაზე დელეგატები განაგრძობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში პარტიის მორიგი ამოცანების, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების განხილვას.

სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადებით გამოწვეული უდიდესი აღმავლობა, მთელი ატმოსფერო, რომელშიც იგი მიმდინარეობს, განაცხადა სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ვ. რომანოვმა, დამაჯერებლად ცხადყოფს პარტიის უსაზღვრო ერთგულებას დიდი ლენინის საქმისადმი, მის შეკავშირებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის — ჩვენი დროის ყველაზე ავტორიტეტიანი პოლიტიკური და სახელმწიფო ხელმძღვანელის, მშვიდობის ნაცადი მებრძოლის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარშემო.

ჩვენ ყველას ენერგიისა და ოპტიმიზმის მძლავრ სტიმულს გვაძლევს ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება — კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ გამოცდილებასთან მარქსისტულ-ლენინური თეორიის მტკიცე შენადნობის ნიმუში. პირველიდან ბოლო სტრიქონამდე ეს მომავლისაკენ მიმართული ფუძემდებელი დოკუმენტი ადასტურებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური კურსის სრულ შესაბამისობას საბჭოთა ხალხის, მსოფლიო რევოლუციური პროცესის, ქვეყნად მშვიდობისათვის ბრძოლის ძირეულ ინტერესებთან.

საანგარიშო მოხსენება შეიცავს საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აქტიური აღმშენებლობითი საქმიანობის შთამბეჭდავ სურათს. უნდა აღინიშნოს, რომ იმ პირობებში, როცა სერიოზული განსაცდელი შეექმნა დაძაბულობის შენელებას, საბჭოთა კავშირი არ ღალატობს ვითარების გაჯანსაღების კურსს, თანამიმდევრულად ამხილებს იმპერიალისტური წრეებისა და მათი პეკინელი დამქაშების აგრესიულ ზრახვებს, მტკიცედ იღიწის გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის. „გუშინ ლენინდ ილიას ძის მიერ წამოყენებული ახალი სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც გლობალური ხასიათისაა და გამსჭვალულია ნამდვილი ჰუმანიზმითა და კეთილშობილებით, შეიცავს პასუხს კითხვაზე, სურს თუ არა საბჭოთა ხალხს ომი. აგრეთვე საკადრის პასუხს სცემს იმათ, ვინც ჩამახავს ზღაპრებს „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ.

ყრილობათა შორის პერიოდში საბჭოთა ადამიანებმა პარტიის ხელმძღვანელობით ახალი მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე. ჩვენი სახალხო მეურნეობის გაზრდილი. შესაძლებლობანი, მისი შემობრუნება ინტენსიური ფაქტორებისაკენ კარგად მოჩანს ლენინგრადის ეკონომიკის მაგალითზე. დღეს შეგვიძლია მოგახსენოთ, განაცხადა დელეგატმა, რომ მეათე ხუთწლედისთვის შეუშავებულმა ლენინგრადისა და ეკონომიკური სოციალური განვითარების პირველმა გეგმამ შესაძლებლობა მოგვცა: უზრუნველგვყო დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვის უფრო მჭიდრო კავშირი, ჯკეთ შეგვესატყვისებინა საწარმოო დავალებანი არსებულ რესურსებთან, დაგვესახა და განგვეხორციელებინა მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად გამიზნული ღონისძიებანი. ამ პერიოდში სამრეწველო წარმოების მოცულობა თითქმის 23 პროცენტით გადიდდა, რასაც უმთავრესად შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე მივაღწიეთ. მეათე ხუთწლედში სულ გამოშეებულია 21 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია, ვიდრე წინა ხუთწლედში.

იმ უურადღების წყალობით, რომელსაც პარტია უთმობს რუსეთის ფედერაციის არაშავმიწანიადგანი ზონის განვითარებას, თქვა შემდეგ ორატორმა, ლენინგრადის გარშემო შეიქმნა სასაქონლო მებოსტნეობის, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის სპეციალიზებული ზონები. ამან საშუალება მოგვცა ბოლო ათი წლის მანძილზე გაგვედიდებინა რძის შესყიდვა 1,8-ჯერ, პირუტყვისა და ფრინველ ი ს ა ორჯერ, კვერცხისა თითქმის სამჯერ და ამგვარად მნიშვნელოვნად გაგვეუმჯობესებინა ადგილობრივი წარმოების ხარჯზე კვების პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფა.

განხორციელდა ფართო სოციალური გარდაქმნები, მილიონზე მეტმა ლენინგრადელმა იზეიმა ახალმოსახლეობა. თითქმის ერთიორად გადავამეტეთ სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების საექსპლოატაციოდ გადაცემის ხუთწლიანი გეგმის ფარგლებში.

ბაუმჯობესდა ადამიანების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

ილაპარაკა რა ლენინგრადელების მიერ XXVI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაზე, ლენინგრადის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საოლქო არ ამოწურულა სამეცნიერო-საწარმოო პოტენციალის რეზერვები. მათი ამოქმედებისათვის საჭიროა ყოველნაირად განვამტკიცოთ სამემსრულებლო დისციპლინა, მტკიცედ ჩავუნერგოთ მშრომელებს ყაირათიანად გამოიყენონ სახალხო დოვლათი, გაბედულად აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი. ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება, საბჭოთა საზოგადოების

(გაგრძელება მე-3 გვ.)

მასობრივი ტირაჟი

გამოვიდა პარტიის XXVI ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა „სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისადმი საგარეო და საშინაო პოლიტიკის დარგში“, რომელიც 1981 წლის 23 თებერვალს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაკეთა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ბროშურა, რომელიც „კრასნაია პროლეტარსკის“ სტამბაში დაიბეჭდა, მასობრივი ტირაჟით გამოვიდა. (საკადრ).

მხურვალე მოწონება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა, საქართველოს მშრომელთა ყურადღების ცენტრშია.

ვიმუშავებთ კიდევ უკეთესად

სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღეს ჩვენი შახტის ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში დილიდან გვიან საღამომდე ტელევიზორი და რადიო არ გამოუთიშავთ. მეშახტეები დიდი ყურადღებით ვუსმენდით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას, რომელმაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა თითოეულ ჩვენგანზე. მეშახტეები ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ იმაში, რომ პარტიის გენერალური ხაზი ნათლად გამოხატავს თითოეული საბჭოთა ადამიანის ინტერესებსა და მისწრაფებებს.

შემდეგ გაიმართა მიტინგი. მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ერთხმად მოიწონეს მშობლიური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. გამოსულებმა აღთქვეს ყრილობის მონაწილეებს, რომ თავდადებული და ენერგიული შრომით კიდევ უფრო განამტკიცებენ წარმატებებს.

მ. ვარლოსანიძე,
ჭ. ტყიბულის ნახშირის სახელობის შახტის მეექვსე საექსპლოატაციო უბნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ენერგია შეგვმატა

ენთუზიაზმი, ენერგია შეგვმატა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებამ, რომელიც პარტიის XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა. მოხსენება ჩვენი ქვეყნის მომავლის, სიძლიერის, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი წინსვლის ნათელ პერსპექტივებს გვასახავს.

სოფლის მშრომელებს განსაკუთრებით გვახარებს ჩვენდამი, სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი პარტიის დიდი ყურადღება. ყრილობაზე ერთხელ კიდევ ხაზი გაესვა იმას, რომ ახლანდელ სოფელში უფრო მეტად დამკვიდრდება მექანიზაცია, ქიმიზაცია. მეტი ყურადღება მიექცევა სამხრეთული კულტურების უხვი მოსავლის მიღებას, მაგრამ მეცხოველეობა დამკვრელურ ფრონტად არის გამოცხადებული. ამასთან დაკავშირებით ჩვენი მეურნეობის მეცხოველეებმა ვალდებულება იკისრეს თითოეულ ფურზე წელიწადში მიიღონ 3.000 კილოგრამი რძე.

შ. ჩხაიძე,
ხელვაჩაურის რაიონის მეცხოველეობის საჯიშე მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი.

ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი გვირგვინით შეამკეს

25 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, დ. ა. კუნაევი, ა. ი. პელშე, გ. ვ. რომანოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, ვ. ვ. შჩერბიცკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები გ. ა. ალიევი, პ. ნ. დემიჩევი, ტ. ი. ორისლიოვი, ზ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, სკკპ XXVI ყრილობის პრეზიდიუმის სხვა წევრები, სკკპ სამხარეო კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები ეწვივნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ბელადის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის მავზოლეუმს და გვირგვინით შეამკეს იგი. გვირგვინის ალისფერ ლენტზე წარწერილია: „ვლადიმერ ილიას ძე ლენინს სკკპ XXVI ყრილობის დელეგატებისაგან“.

(საკადრ).

სურათზე: მოსკოვი. წითელი მოედანი. 1981 წლის 25 თებერვალი. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმს გვირგვინით ამკობენ.

საკადრ-საქინფორმის ტელეფოტო.

სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში

კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ გ. თ. სიზოვის მოხსენება

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყოველი ყრილობა უდიდესი მოვლენაა ქვეყნის კომუნისტთა მრავალმილიონიანი არმიის, მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

პარტიის ყრილობები — მისი უმაღლესი ორგანო — აზოგადებენ პარტიის ბრძოლისა და აღმშენებლობის გამოცდილებას, ამუშაგებენ მის სტატეგიასა და ტაქტიკას კომუნისტური მშენებლობის ყოველ ახალ ეტაპზე, კოლექტიურად ავითარებენ თანამედროვეობის დიად მეცნიერებას — მარქსიზმ-ლენინიზმს.

ამავე დროს ჩვენი პარტიის ყრილობები დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენებია, რომლებიც ყოველთვის იპყრობენ ყველა ქვეყნის მშრომელთა დიდ ყურადღებას და იწვევენ მათს ღრმა ინტერესს.

პარტიის XXVI ყრილობა ისტორიაში შევა, როგორც ჩვენი ქვეყნის განვითარების, ეკონომიკაში, პოლიტიკურ და სულიერ სფეროებში, საბჭოთა ხალხის მთელ ცხოვრების წესში მომწიფებული სოციალიზმის პრინციპების ყოველმხრივი დამკვიდრების მნიშვნელოვანი მიჯნა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება ჭეშმარიტად ლენინური მასშტაბისა და სტილის დოკუმენტია. მასში წარმოდგენილია ქვეყნის ხელმძღვანელობის საქმეში პარტიის მუშაობის შთამბეჭდავი სურათი, მოცემულია პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყოველმხრივი მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, ნაჩვენებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისა და ხალხის ბედისათვის იმ წარმატებებს, რომლებსაც ხუთწლეულის მანძილზე მივაღწიეთ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში.

ჩვენ მართლაც დიდი მიღწევები გვაქვს. ისინი სამართლიან სიამაყისა და გულწრფელ სიხარულს იწვევენ. მაგრამ პარტია რეალისტურად აფასებს საქმის ვითარებას. გაწეული მუშაობის კრიტიკული განხილვის საფუძველზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებასა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტში დასახულია მომავალი წლების მკაფიო პროგრამა, ზუსტად არის განსაზღვრული გადასაწყვეტი ამოცანები. ამან არ შეიძლება არ ჩაგვინერგოს იმის რწმენა, რომ გზა, რომელსაც ვადგავართ, სწორი, ლენინური გზაა.

საბჭოთა ხალხი ოპტიმისტურად შეჰყურებს მომავალს, სწამს პარტიის — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის — სიბრძნე და გამჭრიახობა.

საბჭოთა ადამიანები დიდი სიყვარულითა და უღრმესი ნდობით ეკიდებიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს და მის მეთაურს, ერთგულ ლენინელს, ნათელი მომავლისათვის დაუცხრომელ მებრძოლს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. ჩვენი ხალხი მხურვალედ იწონებს და უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას — მშვიდობისა და აღმშენებლობის პოლიტიკას, ჰეშმარიტად სახალხო პოლიტიკას.

ამხანაგებო! სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისია მისთვის წესდებით განსაზღვრულ სამუშაო უბანზე აქტიურად მონაწილეობდა სკკპ ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების თანახმად ცენტრალური სარევიზიო კომისია მოვალეა შეამოწმოს პარტიის ცენტრალურ ორგანოებში საქმეთა მსვლელობის სისწრაფე და სისწორე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სალარო და საწარმოები. ცენტრალური სარევიზიო კომისიაც თავის საქმიანობას წარმართავდა პარტიის წესდების ამ დებულებების შესაბამისად. მისი მუშაობა გეგმის მიხედვით ხორციელდებოდა. დიდ ყურადღებას ვუთმობდით აგრეთვე ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიებისათვის მუშაობაში პრაქტიკული დახმარების გაწევას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის პარტიის ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელება ბევრად იყო დამოკიდებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის შეთანხმებულ და ზუსტ მუშაობაზე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატი დიდი პასუხისმგებლობითა და ოპერატიულობით ასრულებდა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და სამდივნოს დავალებებს, დიდ მუშაობას ეწეოდა, რათა მოემზადებინა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა საკითხები სკკპ ცენტრალური კომიტეტის განსახილველად, ყურადღებით ეკიდებოდა ცენტრალურ კომიტეტში შემოსულ მშრომელთა წინადადებებს, წერილებს, განცხადებებსა და სხვა დოკუმენტებს.

სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა ის არის, რომ უზრუნველყოს სათანადო კონტროლი პარტიულ ბიუჯეტში სახსრების შემოსვლისა და მათი სწორი ხარჯვისადმი.

საანგარიშო პერიოდში ამას მთავარი ყურადღება ეთმობოდა. რეგულარულად ეწყობოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სალაროს რევიზიები. ეს რევიზიები მოწმობს, რომ პარტიული სახსრების დაცვა-შენახვა მთლიანად უზრუნველყოფილია. საკასო წიგნი და საბუღალტრო აღრიცხვა სწორად წარმოებს.

სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისია ყოველწლიურად განიხილავს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დასამტკიცებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის მიერ წარმოდგენილი პარტიული ბიუჯეტის პროექტებს, აგრეთვე ანგარიშებს მათი შესრულების შესახებ.

პარტიული ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი შედგება საწევრო შენატანებისაგან, პარტიული გამომცემლობების მოგების ანარიცხებისა და სხვა შემოსულობათაგან. საწევრო შენატანების ხვედრითი წილი საშუალოდ წელიწადში შეადგენდა პარტბიუჯეტის შემოსავლის ორ მესამედს.

საანგარიშო პერიოდში პარტიული ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც პარტიული შენატანების, ისე პარტიის საგამომცემლო საქმიანობის ხარჯზე.

ცნობილია, რომ საწევრო შენატანების გადახდა პარტიის თითოეული წევრისა და კანდიდატის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა, რომელიც ხელს უწყობს მათ კომუნისტურ აღზრდას, ამაღლებს ორგანიზებულობასა და დისციპლინას პირველად პარტორგანიზაციებში. საწევრო პარტიული შენატანების დროული გადახდის აქტუალობას არა მარტო პრაქტიკული, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს.

საანგარიშო პერიოდში მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს პარტიული შენატანების მიღებისა და აღრიცხვის საქმისადმი ხელმძღვანელობა. მოწყობილი შემოწმებანი მოწმობს, რომ პარტიის წევრთა და კანდიდატთა დიდი უმრავლესობა ყოველთვიურად და დადგენილი ოდენობით იხდის საწევრო შენატანებს. მაგრამ ზოგიერთ კომუნისტს სხვადასხვა მიზეზით ჰქონდა ხოლმე დავალიანება. დღემდე ვაწყდებით შეუწყნარებელ მოვლენას, როცა საწევრო შენატანების გადახდა სრული შემოსავლიდან არ ხდება.

ასეთი ფაქტები, როცა პარტშენატანების გადახდის დროს მთლიანად არ იყო გათვალისწინებული ცალკეული სახეობათა პრემიები, ჰონორარი და სხვა დამატებითი შემოსავალი, მოხდა ყაზახეთის, ლიტვის, ზღვისპირეთის, იაკუტიისა და სხვა პარტორგანიზაციებში.

უნდა ითქვას, რომ საწევრო შენატანების ყველა გამოვლენილი არასრული გადახდა ანაზღაურებული და შეტანილია პარტიულ სალაროში.

უნდა აღვნიშნოთ ისეთი ნაკლიც, როცა პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა ზოგიერთი მდივანი ხანგრძლივი დროის მანძილზე შემნახველ სალაროებში არ აბარებს კომუნისტებისგან მიღებულ საწევრო შენატანებს, რათა ისინი გადაირიცხოს საოლქო, სამხარეო და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების შესაბამის ანგარიშებზე. მაგალითად, ირკუტსკის ოლქის პირველადს პარტორგანიზაციათა მდივნებს 1980 წლის 1 იანვრისათვის შემნახველ სალაროებში ჩაბარებული არ ჰქონდათ 26 ათას მანეთზე მეტი. ასეთი პრაქტიკა ხელს უწყობს პარტიული სახსრების გაფლანგვას, რაც მოხდა ბრიანსკის ოლქის ერთ-ერთ პირველადს პარტორგანიზაციაში.

საწევრო შენატანების გადახდის საქმეში ნაკლოვანებანი ბევრ შემთხვევაში იმით აიხსნება, რომ პირველადს პარტორგანიზაციებში კომუნისტთა შორის არ წარმოებს სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციით დადგენილი პარტიული შენატანების გადახდის წესის შესახებ. პარტიის ზოგიერთი საქალაქო, რაიონული კომიტეტი და სარევიზიო კომისიები ურიგდებიან არსებულ ნაკლოვანებებს, იშვიათად და არასრულად ამოწმებენ პირველადს პარტორგანიზაციებში პარტიული შენატანების გადახდის სისწორეს.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა წესრიგი უნდა დაამყარონ ამ საქმეში, ათანალონ კომუნისტთა პასუხისმგებლობა საწევრო შენატანების გადახდისათვის, ხოლო პარტორგანიზაციათა მდივნებისა — შემნახველ სალაროებში მათი დროული ჩაბარებისათვის. უნდა მივაღწიოთ ისეთ ვითარებას, რომ პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტები და სარევიზიო კომისიები საწევრო შენატანების გადახდის სისწორეს ყოველწლიურად ამოწმებდნენ ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში. საწევრო პარტიული შენატანების გადახდის დადგენილი წესის დარღვევის თითოეული შემთხვევა უნდა გახდეს პარტიული მსჯელობის საგანი, როგორც ამას სკკპ წესდება მოითხოვს.

ამხანაგებო! ჩვენს პარტიას აქვს მძლავრი პოლიგრაფიული ბაზა, რომელიც თანამედროვე დიდმწარმოებლური ტექნიკით არის აღჭურვილი. პარტიული ორგანოების გამომცემლობანი დღენიადაგ ზრდიან თავიანთი საქმიანობის მასშტაბს, უზრუნველყოფენ საქართა ტირაჟებით მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის, გაზეთების, ჟურნალების, პლაკატებისა და სხვა პროდუქციის გამოშვებას. ბევრი პარტიული გამოცემის ტირაჟმა მნიშვნელოვან ციფრს მიაღწია. მაგალითად, 1980 წელს გაზეთი „პრავდის“ ერთჯერადმა ტირაჟმა 10,7 მილიონი შეადგინა, გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ ტირაჟმა — 9,2 მილიონი, ჟურნალ „კომუნისტის“ ტირაჟმა — 900 ათასი, ჟურნალ „პარტიინაია ჟიზნის“ ტირაჟმა — მილიონი და ასე შემდეგ. გაიზარდა რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო გაზეთებისა და ჟურნალების ტირაჟები, მათი ერთჯერადი ტირაჟი თითქმის 90 მილიონს შეადგენს. კვლავაც ვითარდება საგამომცემლო საქმე, ფართოვდება პარტიულ გამომცემლობათა პოლიგრაფიული ბაზა როგორც ახალი სტამბების მშენებლობის, ისე მოქმედთა რეკონსტრუქციისა და გაფართოების, მათი მოწყობილობის განახლების გზით. ფართოდ ინერგება გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების ბეჭდვის ოფსეტური წესი, გაზეთის გვერდების გადაცემა კავშირგამშლელის არხებით. ამჟამად პარტიული ორგანოების გამომცემლობათა საწარმოო ბაზა უზრუნველყოფს ქვეყნის გაზეთების, წიგნებისა და ჟურნალების დაახლოებით 65 პროცენტის ბეჭდვას. მაგრამ საგამომცემლო საქმის შემდგომ ზრდას მნიშვნელოვანწილად აფერხებს ქაღალდის ნაკლებობა.

პარტიული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში დიდი ხვედრითი წილი უკავია შემოსულობებს პარტიულ გამომცემლობათა მოგებისაგან. განვლილი 5 წლის მანძილზე პარტიულ ბიუჯეტში ანარიცხები 46 პროცენტით გაიზარდა.

ამავე დროს ზოგიერთი გამომცემლობის მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანი. ბევრ შემთხვევაში უზრუნველყოფილი არ არის საწარმოო შენობების საექსპლოატაციოდ გადაცემის დადგენილი ვადები და ზოგიერთი საგეგმო მაჩვენებლის შესრულება, ურიგდებიან ქაღალდის, სათბობისა და ელექტროენერგიის არაეკონომიურ გამოყენებას, მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის დაგროვებას.

პარტიული კომიტეტები და რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო პარტიული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიები დაწესებულ ვადაში ამოწმებენ გამომცემლობებისა და სტამბების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას და ახორციელებენ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებს.

1980 წელს სკკპ ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ მოაწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა „პლაკატის“ საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზია. გამომცემლობის საქმიანობაში დადებით შედეგებთან ერთად გამოვლინდა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებებიც. სახსრების ხარჯვა ზოგჯერ წარმოებდა ჯერიოვანი კონტროლის გარეშე, იყო ხოლმე ზედმეტობის, გადაახარჯვისა და ზარალის შემთხვევები.

ამხანაგებო! ჩვენს პარტიას დიდი ფულადი და მატერიალური რესურსები აქვს, რომლებიც ხმარდება პარტიული ორგანოების შენახვას, მათ მიერ ორგანიზაციული, პროპაგანდისტული და პოლიტიკური მუშაობის მოწყობას, კადრების მომზადებას, სამეურნეო და სხვა ღონისძიებებს. მთელი ეს ხარჯები იფარება პარტიის საკუთარი სახსრებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დოტაციის მიუღებლად.

რევიზიები, რომლებსაც სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისია და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიები აწყობენ, გვიჩვენებს, რომ პარტიული ბიუჯეტისათვის გამოყოფილი სახსრები როგორც პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, პარტიულ დაწესებულებებში, ისე ადგილობრივ პარტიულ ორგანოებში იხარჯება დამტკიცებულ ასიგნებათა შესაბამისად.

ამავე დროს დაღესტნის ასს რესპუბლიკის, ალტაის მხარის, ბელგოროდის ოლქის პარტიის ზოგიერთ საქალაქო და რაიონულ კომიტეტში დაუშვეს პარტიული აპარატის შენახვისა და სამეურნეო საჭიროებისათვის დამტკიცებულ ასიგნებათა გადახარჯვა. უნდა აღვნიშნოთ ცალკეული შემთხვევები, როცა პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელები არღვევდნენ ლენინური ზომიერების პრინციპებს სასამსახურო კაბინეტების მოსაწყობად სახსრების ხარჯვაში, შეიმჩნეოდა ამაში ზედმეტობა. გადახარჯვისა და ზედმეტობის ფაქტების არსებობა მოწმობს, რომ ზოგიერთ პარტიულ კომიტეტში ჯერიოვან დონეზე არ დგას საფინანსო-სამეურნეო დისციპლინა.

საოლქო, სამხარეო კომიტეტებმა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ პარტიული სახსრების ხარჯვაში წესრიგის დამყარებისათვის, ხოლო პარტიული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიებმა უფრო მწვავედ უნდა დაიყენონ აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საკითხები.

პარტიული კომიტეტების, სამხარეო და საოლქო პარტიული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიების დაწესებულ ვადაში ამოწმებენ გამომცემლობებისა და სტამბების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, ეხმარებიან ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებში.

ამავე დროს, ბევრ ადგილობრივ პარტიულ ორგანოში ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობა ცუდ მდგომარეობაშია. ეს ეხება ბაშკირეთის, ალტაის, ბელგოროდის, ბრიანსკის, ვლადიმირის, ვოლგოგრადის, ვოლოგდის, ივანოვოს, ირკუტსკის, კალინინის, კალუგის, ყაზახეთის, ყირიმის, ლენინგრადის, ლიპეცკის, მაგადანის, მურმანსკის, ნოვგოროდის, ომსკის, ორენბურგის, პენზის, პერმის, პსკოვის, როსტოვის, სარატოვის, სვერდლოვსკის, სმოლენსკის, ტალინის, ტომსკის, ულიანოვსკის, ფერღანის, ფსკოვის, ხარკოვის, ხერსონის, ჩიტის, ჩუვაშეთის, ალმა-ათის, ალმატის, ბაკურიანის, ბაკოს, ბოლოკანის, ბუხარის, ვოროშილოვგრადის, ზაპოროჟიეს, ზაფარაჟიეს, ზაკარპატიის, ზაპადნაია ბელორუსიის, ზაპადნაია სიბირის, ზაპადნაია ევროპის, ზაკავკაზიის, ზაბაიკალიეს, ინგუშეთ-ჩეჩნეთ-ოსეთ-ალანეთ, ინგულეთ-ოსეტიის, ინგულეთ-ოსეტიის, ინგულეთ-ოსეტიის

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგებო! თვით ისტორიამ განსაზღვრა ყრილობების ადგილი და მნიშვნელობა პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. მრავალფეროვანია ყრილობის პრობლემათა სპექტრი. და მაინც ყველაზე მკაფიოდ აღინდება ორი მომენტი: ანგარიში და პერსპექტივა.

თუ გავითვალისწინებთ საყრილობო კამპანიის ყოვლისმომცველ ხასიათსა და საჯაროობას, მაინ, არსებითად, გაიმართა საერთო-პარტიული საყოველთაოსახალხო რეფერენდუმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის უმთავრეს მიმართულებათა შესახებ.

ანგარიშის თვალსაზრისით საქართველოს კომპარტია ყრილობაზე ურგო შედეგებით როდი მოვიდა. მრეწველობის პროდუქციის მატების ტემპმა შეადგინა 41 პროცენტი, სოფლის მეურნეობისამ — 34, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხუთი წლის პროგრამა გასული წლის 7 ნოემბრისათვის შესრულდა. ხარისხისნიშნიანი პროდუქციის მოცულობამ 21 პროცენტს გადაამეტა.

სიხარულითა და სიამაყით მოგახსენებთ: რესპუბლიკას არ გაუტეხავს XXV ყრილობისათვის მიცემული სიტყვა. **(ხანგრძლივი ტაში).**

საანგარიშო მოხსენებაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა დიდად მეაფასა საქართველოს კომპარტიის მუშაობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დარგში. თქვენი შეფასება — ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, — უდიდესი სტიმულია კომუნისტებისათვის. მოგმართავთ რა მხურვალე მადლიერების სიტყვებით, გარწმუნებთ: მიღწეულს მივიჩნევთ საერთო-საკავშირო ფოლათში რესპუბლიკის წვლილის გადიდების გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯად. რესპუბლიკას ახლა აღმავლობის ხანა აქვს. ამის თავიდათავია მზრუნველობა და დახმარება, რომელსაც გვიწევენ ცენტრალური კომიტეტი, მთავრობა, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. **(ტაში).**

70-იან წლებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი რიგი ფუნდამენტური დადგენილებანი მიიღო რესპუბლიკის თაობაზე. საქართველოს კომპარტიის ისტორიას არ ახსოვს ესოდენ ინტენსიური ზრუნვისა და ყოველდღიური ყურადღების პერიოდი. გულისმიერად განიხილავენ ჩვენს პრობლემებს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საკავშირო მინისტრები. პერსპექტივის საფუძველია მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. საქართველოს შესახებ პარტიის დადგენილებებში განსაზღვრულია სტრატეგიული ამოცანა — დავძლიოთ გარკვეული ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოების მხრივ.

დიდმა ტემპმა მხოლოდ შეამცირა განსხვავება, ჩამორჩენა კი ჯერაც სერიოზულია. გულახდილად ვეტყვით: რეკორდული ტემპიც და გარდამავალი დროშებიც ჯერ კიდევ არ ნიშნავს, თითქოს ჩვენში უფრო ეფექტიანად მუშაობენ, ვიდრე ქვეყნის წამყვან რეგიონებში.

მეათე ხუთწლედში საზოგადოებრივ წარმოებაში დამატებით ჩაება 200 ათასი კაცი. მაგრამ ამ დარგში რეზერვები კიდევ გვაქვს. შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით იქმნება ახალი სიმძლავრენი.

მეთერთმეტე ხუთწლედში კვლავ ფრაფი იქნება სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპი: მრეწველობაში — 30-33, სოფლის მეურნეობაში — 22-24 პროცენტი. ასეთივე ტენდენცია გაგრძელდება მეთორმეტე ხუთწლედშიც.

მაგრამ ცხოვრება ახალ პრობლემებს აყენებს. ეს გახლავთ ზოგიერთი დისპროპორციის დაძლევა ეკონომიკაში, რომელშიც, აქვე უნდა ითქვას, თავის დროზე დაშვებული იყო უხეში შეცდომები. ათ გამოსწორებას წლები დასჭირდება. მაგრამ ვეღარ დავიბრუნებთ მილიარდობით მანეთის დაკარგულ პროდუქციას. მესმის, რომ სჯობს სწავლა მიღწევებზე, ვიდრე შეცდომებზე. მაგრამ შეცდომებიც ხომ გაკვეთილია. აი ზოგიერთი პრობლემა.

პირველი. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპს მაინც ჩამორჩება ენერგეტიკული კომპლექსის განვითარება. საბაზისო ელექტროსადგურის მშენებლობა გარდაუვალია. ეს თქვა ამხ. ე. ა. აღიევმა და ამ პრობლემის გადაწყვეტის დაყოვნება როდი აწელებს მის სიმწვავეს.

მეორე. ტრანსპორტის შესახებ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვიმყოფდება ტრანსპორტის როგორც ტრადიციული, ისე ახალი სახეობანიც. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დახმარებით, პირველად მსოფლიო პრაქტიკაში, ავამუშავეთ დიდგაბარიტიანი პნევმოკონტეინერული ტრანსპორტი, გაგვყავს ბაგირგზები, მონორელსები. მაგრამ მომავალში ქვეყნის ცენტრებთან ჩვენი რეგიონის დამაკავშირებელი მაგისტრალების გამტარუნარიანობა შეზღუდავს ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობას. გამოსავალია კავკასიონის ქედის გავლით რკინიგზის მშენებლობის საკითხის გადაწყვეტა, რაც 950 კილომეტრით შეამცირებს მანძილს მოსკოვსა და თბილისს შორის.

მესამე. აშკარაა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასა და გადამამუშავებელ ბაზას შორის არსებული გარკვეული დისპროპორცია. 1972 წლიდან რესპუბლიკაში ჩაის, ყურძნის, ციტრუსებისა და ხილის წარმოება მთლიანად გაიზარდა თითქმის 150 პროცენტით, კვების მრეწველობის სიმძლავრენი კი მხოლოდ სანახევროდ. ამ საკითხზე დადგენილება ბევრია, მათ ავტორიტეტს ყველა ამხანაგი როდი უფრთხილდება.



სასურსათო პროდუქტების ხარისხის შესახებ. ჩვენში ეს პრობლემა მწვავედ დგას. ასეთ ფონზე შესაბამისი სამინისტროების გადაწყვეტილება ამ პროდუქტებზე ხარისხის ნიშნის გაუქმების შესახებ მთლად მოფიქრებული არ გვგონია. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ რესპუბლიკა ამ პროდუქციის დიდი მიმწოდებელია — 3 მილიარდი მანეთისა. ზოგიერთი მოსაზრება სადავოა. ამბობენ, ყველა სასურსათო პროდუქტი მაღალი ხარისხისა უნდა იყოსო. ვითომ ჩარხები და ელმავლები რატომღა უნდა იყოს უხარისხო? ვითომ მაგარ სასმელებს ხარისხის ნიშანი რომ ჩამოერთვას, ლოთობა შემცირდება? ესეც სადავოა. ჩემი აზრით, ვისაც მათი დაჭაშნიკება სურს, ბარემ ხარისხისნიშნიანი დააჭაშნიკოს. **(გამოცხლება დარბაზში, ტაში).** პრინციპულად კი კარგი სისტემა გვქონდა, რა საჭირო იყო მისი შეცვლა?

მეოთხე. რაიონული რგოლის შესახებ. აქ გარკვეული დისპროპორციის ელემენტები წარმოიშვა საწარმოო ძალების განვითარებასა და რეგიონალური მასშტაბით მართვისა და დაგეგმვის ზოგიერთ ფორმას შორის.

დღევანდელი რაიონი, ამხანაგებო, ურთულესი ორგანიზმია. ბევრ სასოფლო რაიონში ჩვენთან გამოდის 200-250 მილიონი მანეთის მრეწველობის პროდუქცია, რგოლი კი იგივეა, რაც 25 წლის წინათ. რაიკომის მდივანს ზოგჯერ უჭირს. პრობლემა ბევრია, მართვის საშუალებები კი შეზღუდული. გავიხსენოთ, რა სიყვარულით ლაპარაკობს თავის ნაწარმოებებში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი რაიკომის მდივნის შესახებ. ეს მართლაც რომ ცენტრალური ფიგურაა. **(ტაში).** ლეონიდ ილიას ძის სიტყვებმა შთაგონა ქართველ კინემატოგრაფისტებს თანამედროვე რაიონული ხელმძღვანელის სახის შექმნა.

რამდენიმე რაიონში ჩვენთან კოოპერირების საწყისებზე შექმნილია აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის მძლავრი რგოლი. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ახლა ვაპირებთ ამ სისტემაზე გადავიყვანოთ მთელი რესპუბლიკა.

რაიონსა და რეგიონში, ჩანს, საჭიროა გაბედული ექსპერიმენტები სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმვის, მართვისა და კოორდინაციის დარგში. იხვეწება პარტიული აპარატი. უდავოა, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა უკანასკნელი წლების მანძილზე ამ თვალსაზრისით. და მაინც რაიონი, ჩემი აზრით, მომეტებულ ყურადღებას საჭიროებს. ალბათ, რაიკომებში უნდა შეიქმნას დარგობრივი განყოფილებები, უამისოდ ვერას გავხდებით. **(ტაში).**

რესპუბლიკის რაიონულ რგოლში პირად საკარმიდამო და საზოგადოებრივ მეურნეობათა კოოპერირებამ შესაძლებლობა მოგვცა მეათე ხუთწლედის მანძილზე მოსახლეობისაგან შეგვესყიდა თითქმის 3 მილიონი ტონა ყურძენი და ციტრუსები, დაახლოებით 300 ათასი ტონა ხორცი. არადა, ეს რაიონულ რგოლში არსებულ შესაძლებლობათა ერთ-ერთი ასპექტია.

სამოცდაათიანმა წლებმა ჩვენ ბევრი რამე გვასწავლა. სრულიადაც არ იყო სულ ერთი, ამხანაგებო, თუ რა გზებითა და მეთოდებით ვიღებდით დიდ ეკონომიკურ ეფექტს. მთავარი ის იყო, რომ საქართველოს შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში ჩამოყალიბებული დებულებები გადაგვედნო ადამიანთა გონებაში, გადაგვექცია ისინი კონკრეტულ მატერიალურ და სულიერ ძალად. ადამიანი და მისი ყოველმხრივი განვითარება იყო და არის ერთადერთი თვითმიზანი. ასეთ თვითმიზანს ცნობდა თავის დროზე მარქსი.

ეს პროცესი გრძელდება.

განვითარებუული სოციალიზმის კონსტიტუცია უწოდა ხალხმა ახალ კონსტიტუციას. ჰისი სიახლე უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ გაღრმავდა და გაფართოვდა ჩვენი საზოგადოების დემოკრატიული საფუძვლები.

სოციალისტური დემოკრატია, როგორც ჩვენ გვესმის, ეს არის ჭეშმარიტად შემოქმედებითი ატმოსფერო, ეს არის პიროვნების განთავისუფლება ყოველივე დანალექისაგან, ეგოისტურისაგან. მასში, სოციალისტურ დემოკრატიაში, საზოგადოების უმაღლესი ორგანიზაცია და მისი თითოეული წევრის თვითდისციპლინა, ეს არის საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების ნამდვილი ჰარმონია, ადამიანის მაქსიმალური თვითგამოხატვა. და იგი ვერ შეეგუება კონსერვატიულ სტილს, ზოგან შემორჩენილ მუშაობის დრომოჭმულ მეთოდებს, ხელმძღვანელისა და ხელქვეითის ურთიერთობის ყავლგასულ ფორმებს, ბიუროკრატიულ დამახინჯებებსა და ფორმალიზმს, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება ღირებულებებს, განვითარებული სოციალიზმი რომ ამკვიდრებს.

ჩვენში ზოგიერთი ხელმძღვანელი კომუნისტი მოუმზადებელი აღმოჩნდა ამ რთული, სიღრმისეული პროცესების გაგებისა და მართვისათვის. ამან წარმოშვა გარკვეული სიძნელენი. მაგალითად, ერთმა ასეთმა ხელმძღვანელმა თავის თავს უწინასწარმეტყველა: „ეგ თქვენი დემოკრატიზაცია იმით დამთავრდება, რომ სამუშაოდან მოგხსნიანო“. **(ტაში).** ასეც მოხდა. რას იზამ: ხელისუფლება დემოკრატიულია — ხალხის ხელისუფლებაა, ხალხი კი სამართლიანი და მკაცრია. **(ტაში).** ჩვენი პარტორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება — პოზიტიურიც და ნეგატიურიც — ადასტურებს, რომ ყველა სფეროში დემოკრატიული პრინციპების შემდგომი განვითარება სტიქიური კი არა, მართვადი, პარტიული ზეგავლენისადმი დაქვემდებარებული პროცესია. საჭიროა, რომ ადამიანები უნარიანად იყენებდნენ დემოკრატიულ ინსტიტუტებს. საარსებო მნიშვნელობა აქვს მათდამი დამოკიდებულების უმაღლესი სოციალისტური კულტურის გამომუშავებას.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს არაერთხელ გავუფრთხილებივართ: ჩვენი წინსვლის კვალობაზე საბჭოთა ადამიანი სულ უფრო მგრძნობიარე ხდება კეთილისა და ბოროტის ოდინდელი პრობლემისადმი, და მით უფრო მწვავეა მისი პროტესტი სიტყვისა და საქმის შეუსაბამობის წინააღმდეგ. ჩვენი მაგალითიც ამას ადასტურებს.

ბოლო წლებში სერიოზულად მოკიდეთ ხელი საზოგადოებრივი აზრის შესწავლას. ლეონიდ ილიას ძემ მოგვცა ასეთი მითითება პარტიის XXV ყრილობაზე. ანალიზი ცხადყოფს, რომ შევძელით გამოგვემუშავებინა აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია ადამიანებისათვის, რომელთა მძაფრ პროტესტს იწვევს სწორედ სოციალიზმისათვის ანტიპოდური გადმონაშთები: უსამართლობის, არაობიექტურობის გამოვლინება, რაოდენ უმნიშვნელო და გარეგნულად უწყინარიც უნდა იყოს იგი. და აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, უშვებს ასეთ უსამართლობას, არაობიექტურობას, უპატიოსნობას ხელმძღვანელი თუ სხვა რომელიმე მოქალაქე, ხდება იგი წარმოების, კადრების განაწილების, დაწინაურების, მართლმსაჯულებისა თუ სოციალისტური შეჯიბრების, თუნდაც სპორტული ასპარეზობის შედეგების შეჯამების სფეროში, ეხება იგი ახიტურიენტის ცოდნის შეფასებას, სხვადასხვა სახეობის მომსახურებასა თუ მეზობლების ჩვეულებრივი კინკლაობის გარჩევას.

საქართველოს კომპარტიას თავის საბრძოლო ამოცანად მიაჩნია ცენტრალური კომიტეტის, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოთხოვნათა შესასრულებლად იღვაწოს ისე, რომ ყველგან და ყოველთვის ამკვიდრებდეს სამართლიანობის, პატიოსნების, ჰუმანიზმის, თავმდაბლობის, ლენინური პარტიულობის წმიდათაწმიდა პრინციპებს **(ტაში),** რათა შრომის უზენაესი ავტორიტეტი, ღრმა დემოკრატიზმი და შეგნებული დისციპლინა, უდიდესი პასუხისმგებლობა ჩვენი მძლავრი კავშირის წინაშე გახდეს რესპუბლიკის კომუნისტთა სადარბაზო ბარათი.

ამხანაგებო! ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენება თანამედროვეობის საეტაპო მრვლენაა. იგი წარმოგვიდგება არა მარტო ეპოქალურ დოკუმენტად, არამედ ცოცხალ ორგანიზმადაც, მთელი თავისი უჯრედებით რომ დაკავშირებია ჩვენი საზოგადოების თითოეულ წევრს. ამ ცოცხალმა ორგანიზმმა თითქოსდა შეისისხლხორცა მისი ავტორის, მისი შემოქმედის, ჩვენი ბრძენი ხელმძღვანელის, დიდი რევოლუციონერ-ლენინელის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ყველა თვისება: მეცნიერული სიღრმე, დაუოკებელი მიზანსწრაფვა, უსაზღვრო ოპტიმიზმი და რეალისტურობა, მასშტაბურობა და კლასობრივი პრინციპულობა, კაცთმოყვარეობა, გამჭრიახობა და სიმართლის ძალა, დიადი ძალა სიმართლისა. ლეონიდ ილიას ძის მოხსენება მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის გულისთქმაა. **(ტაში).**

შრომის, ბრძოლის, პერსპექტივის ეს დიადი ქარტია და ის, რასაც მეორე სამყაროს ზოგიერთი ლიდერი თავის საპროგრამო გამოსვლას უწოდებს, ისევე შორს დგას ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა. აქ მშვიდობა, თავისუფლება, დემოკრატია და მომავლის რწმენაა. იქ — გამალებული შეიარაღება, რეაქცია და უსასოობა.

ამხანაგებო! ხვალ 60 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც სერგო ორჯონიკიძემ კრემლში გაგზავნა დეპეშა: „თბილისის თავზე ფრიალებს წითელი დროშა... გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! **(ხანგრძლივი ტაში).** ამ დეპეშას რომ აწერდა ხელს, ლეგენდარული სერგო ჭვრეტდა მომავალს, ნათლად წარმოედგინა დღევანდელი საქართველო. ამ ლენინური დროშის ერთგულებამ, პარტიის ეროვნულმა პოლიტიკამ, ხალხთა ძმობამ და მეგობრობამ ააღორძინა ჩვენი მხარე, იუბილეს მაისში ვიხდით. მაისი კი ჩვენში ვარდობის თვეა. გეპატიჟებით ყველას, ძვირფასო ამხანაგებო, **(ტაში)** და, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა ვეპატიჟებით ჩვენი ყრილობის პირველ დელეგატს, დიდად პატივცემულსა და უსაყვარლეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ორი წლის შემდეგ საზეიმოდ აღვნიშნავთ რუსეთთან დამოყვრების ორასი წლის თავს. დიდმა აკაკიმ, როცა თავისი ხალხის მერმისზე ფიქრობდა, მომავალ თაობებს უანდერძა: ნათელისაკენ მიმსწრაფ ახალგაზრდა რუსეთს მიჰყევითო. აუხდა ოცნება, რუსეთმა გაარღვია წყვდიადი და თვით იქცა უქრობ ჩირაღდნად. რუსეთთან ერთად, რუსეთისა და დიდი რუსი ხალხის ხელმძღვანელობით გაფანტეს უკუნი სხვა მოძმე ხალხებმაც. და ახლა ჩვენ ყველანი ერთად, სოციალისტურ თანამეგობრობასთან ერთად, აქტიური შემოქმედნი ვართ სოციალისტური ცივილიზაციისა.

ნათელი მომავლის სიმბოლოა. ამ ნათელით არის გაცისკროვნებული ლეონიდ ილიას ძის მოხსენება. მომავლის სხივი, მომავლის რწმენა სუფევს ამ ისტორიულ დარბაზში.

ჩვენ, კომუნისტებმა, ლენინისაგან ვისწავლეთ მეოცნებეობა, ოცნებას კი მომავალში მივყავართ. მომავალია ჩვენი ყრილობის მთავარი დელეგატი, ქება და დიდება მას! **(ხანგრძლივი ტაში).**

პარტიისა და ხალხის დიადი ერთიანობა

(გაგრძელება)

მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა საიმედოდ უზრუნველყოფს ახალ წარმატებებს აღმშენებლობის ყველა უბანზე. ჩვენ წინ მივაბიჯებთ, გამდიდრებულნი არა მარტო საკუთარი, არამედ ჩვენი თანამებრძოლების გამოცდილებითაც. ჩვენ წინ მივაბიჯებთ იმის ურყევი შეგნებით, რომ მსოფლიოს კომუნისტებს მტკიცედ უპყრიათ ხელთ ისტორიის საჰე!

ვამაყობ, თქვა მაგნიტოგორსკის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის უფროსმა მექურეემ ამხ. **ვ. დ. ნაუმკინმა,** რომ წილად მხვდა ბედნიერება ყრილობაზე ვწარმომადგენლობდე მუშათა კლასს, რომლის შესახებაც ასე გულთბილად ილაპარაკა საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. მაგნიტკა დღესაც ამართლებს საბჭოური მეტალურგიის ფლაგმანის წოდებას, სამართლიანად ითვლება მოწინავე გამოცდილების სკოლად. ხუთწლედის მანძილზე კომბინატში ახალ სიმძლავრეთა აუმოქმედებლად რამდენიმე მილიონი ტონით გაიზარდა თუჯის, ფოლადის, ნაგლინის წარმოება. ბევრი რამ მიღწეულია რეკონსტრუქციისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის გზით. მაგრამ საქმე მარტო ეს როდია.

მუშამ ბაზგასმით აღნიშნა, რომ კომბინატის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობს პარტიის მითითებებით, კოლექტივში ქმნის საქმისადმი სახელმწიფო მიდგომის, მუშაობის გაუჭობესების შესაძლებლობებისა და რეზერვების ძიების ატმოსფეროს. კომუნისტები დღენიადაგ ეძებენ გზებს, რათა გამოავლინონ ადამიანის საუკეთესო უნარი, უზრუნველყონ წარმოების მართვაში მუშათა აქტიური მონაწილეობა.

კომბინატში კარგ ტრადიციად იქცა თითოეული მუშაკის შრომის ყოველდღიური შეფასება. არა მარტო ვაჯამებთ საერთო შედეგებს, არამედ გულახდილად ვმსჯელობთ თითოეული მუშაკის—ინჟინერი იქნება იგი, ოსტატი თუ მუშა — შრომითს წვლილზე. ამან ბოლო მოუღო გაუპიროვნებას, უპასუხისმგებლობას. კოლექტივში ვითარდება პროფესიული სიამაყის გრძნობა, მისწრაფება მიბაძონ საუკეთესოებს. თავისი ბრძმედის საამქროს მაგალითზე, სადაც ყოველი მეხუთე კომუნისტია, მეტალურგმა ცხადყო, თუ რა შედეგებს იძლევა ამხანაგური კრიტიკა, დაინტერესების საერთო გრძნობა.

დელეგატმა ილაპარაკა აგრეთვე იმ უდიდესი ყურადღების შესახებ, რომელიც ახალგაზრდობას ეთმობა. კომბინატში 2700 დამრიგებელია. შემოღებულია ახალგაზრდობასთან მუშაობაში საამქროს უფროსის მოადგილის თანამდებობა. ამ საპატიო საქმეს საზოგადოებრივ საწყისებზე მეთაურობენ კომუნისტები. დამრიგებლები ახალგაზრდებს უნერგავენ არა მარტო პროფესიულ ჩვევებს, არამედ კომუნისტურ მრწამსს, წარმოების ბატონ-პატრონის გრძნობას.

მეტალურგები დღენიადაგ გრძნობენ პარტიის, საბჭოთა მთავრობის ზრუნვას მათი შრომის, ყოფა-ცხოვრების პირობებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. კომბინატში ყოველი მესამე მუშაკი ყოველწლიურად უზრუნველყოფილია უფასო სამკურნალო და დასასვენებელი საგზურით. ხუთწლედის მანძილზე მწყობრში ჩადგა 400 ათასი კვადრატული მეტრი ბინა, გაფართოვდა საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, პიონერთა ბანაკების, სახლებისა და დასასვენებელი ბაზების ქსელი.

მეტალურგთა სუფრას სიუხვეს მატებს კომბინატის სასოფლო საამქრო, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს საზოგადოებრივ კვებას კარტოფილითა და ბოსტნეულით. საწარმოში არის დიდი ფერმა, სადაც ასუქებენ ათასობით სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, ღორს, მოსავალს იძლევა საწარმოს ბაღები და სათბურები.

კარგ შრომას ხელს უწყობს კოლექტივის სურვილი დაეუფლოს ცოდნას, აიმაღლოს კულტურა. ახლა მაგნიტკის ყოველი მეექვსე მუშაკი დიპლომიანი სპეციალისტია, კოლექტივის საშუალო განათლების დონე თითქმის 10 კლასია.

ორატორმა კოლექტივის სახელით მადლობა გადაუხადა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ყურადღებიანი დამოკიდებულებისათვის ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების გამოცდილებისადმი, მაგნიტკისადმი. დიდი აღმავლობა გამოიწვია კოლექტივში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ შავი ლითონების დაზოგვისათვის ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებამ მეფოლადეებისადმი.

დელეგატმა ყრილობას აცნობა, რომ მაგნიტკის მეტალურგებმა ხუთწლედში მილიონ ტონაზე მეტი ლითონი დაზოგეს, და თქვა, რომ ეს კომბინატის საჩუქარია პარტიის ყრილობისადმი. საწარმოს კოლექტივში თითოეული ცხოვრობს პარტიის საზრუნავითა და გეგმებით, ცდილობს მიაღწიოს უფრო მაღალ შედეგებს.

ნახევარი საუკუნეა მაგნიტკა შრომობს კომუნიზმისათვის და ახლა საწარმო დარგში ყველაზე იაფ ლითონს უშვებს. მაგრამ, თქვა მუშამ, სულ უფრო ძნელი ხდება დიდი წარმატებების მიღწევა ფიზიკურად და მორალურად მოძველებული მოწყობილობით. განახლება, ცხადია, მიმდინარეობს, მაგრამ საწარმოს კოლექტივის მაგნიტკა ღირსია იმისა, რომ რეკონსტრუქცია უფრო ფართოდ, მასშტაბურად წარმოებდეს.

ცნობილმა მთამ მაგნიტნაიამ თავისი ვალი მოიხადა და ახლა რკინის მადანს კომბინატში შორიდან ვიღებთ. ეს ძვირი გვიჯდება, თანაც იქვე ახლოს, კუსტანაის ოლქში არის მადნის უდიდესი საბადოები, მაგრამ მათი დამუშავება ძალზე ნელა მიმდინარეობს.

მთელი კაცობრიობა ყურადღებით ადევნებს თვალს ჩვენი ყრილობის მუშაობას, თქვა შემდეგ დელეგატმა. ყრილობას ინტერესით ადევნებენ თვალს ისინიც, ვისაც სურს გელაპარაკოს არა მშვიდობისა და მეგობრობის ენით, არამედ ძალის პოზიციებიდან. მაგრამ ვერანაირი ცილისწამება ვერ მოსცხებს ჩირქს სოციალისტურ წყობილებას, ვერ შეარყევს პარტიისა და ხალხის მონოლითურ ერთიანობას. ამის საწინდარია, თქვა მეტალურგმა, მუშათა კლასის რწმენა კომუნიზმის იდეალებისადმი, კომუნისტური პარტიის ბრძნული კურსისადმი.

რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **მ. ს. სოლომენცევმა** პარტიის ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას უწოდა შემოქმედებითი მარქსზმ-ლენინიზმის უთვალსაჩინოესი დოკუმენტი, რომელიც განმსჭვალულია ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის ზრუნვით. ორატორმა წინადადება წამოაყენა მთლიანად და სავსებით მოიწონონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კურსი და პრაქტიკული საქმიანობა.

მან დიდი ყურადღება დაუთმო ეკონომიკური მშენებლობის საკითხებს და თქვა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი დინამიკურად და მყარად ვითარდება. ეროვნული შემოსავლის საშუალო წლიური მოცულობა მეცხრე ხუთწლედთან შედარებით 29 პროცენტით გადიდდა, სამრეწველო წარმოების მოცულობა — 31 პროცენტით. იზრდება რუსეთის სფს რესპუბლიკის წვლილი ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ, მინერალური ნედლეულისა და სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალში, ფართო გაქანება შეიძინა წარმოების ტექნიკურმა განახლებამ,

თავისი ნაყოფი გამოაქვს პარტიის აგრარული პოლიტიკის თანამიმდევრულ განხორციელებას. მტკიცდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იხვეწება მისი ორგანიზაცია. შეუპოვარი, დაძაბული შრომით მნიშვნელოვანწილად გადაილახა არახელსაყრელი ამინდის პირობებით გამოწვეული სიძნელენი. ხუთი წლის მანძილზე პირველად რუსეთის მიწათმოქმედების ისტორიაში მოწეულია 3570 მილიონი ტონა მარცვლეული — წინა ხუთწლედზე 55 მილიონი ტონით მეტი. გადიდდა სხვა სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და დამზადება.

მზარდი მასშტაბით ხორციელდებოდა არაშავმიწანიადგილიანი ზონის სოფლის მეურნეობის აღმავლობის კომპლექსური პროგრამა. ამასთან ნაკლებ ყურადღება დაეთმო სოციალური საკითხების გადაწყვეტას, სასოფლო მშენებლობისა და მელიორაციის ბაზის შექმნას, რაც წინათ აქ არსებითად არ ყოფილა.

ორატორმა ილაპარაკა კაპიტალურ მშენებლობაზე, ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდაზე. მან ხაზი გაუსვა, რომ ყველა დარგის მუშაკთა მნიშვნელოვანი მეცადინეობა მოხმარდა წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას. ხუთწლედში 17 პროცენტით გაიზარდა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება. ამის მეშვეობით მიღებულია ეროვნული შემოსავლის მატების ოთხი მეხუთედი. მაგრამ ჯერ-ჯერობით არ მომხდარა ძირეული შემობრუნება ეფექტიანობისა და ხარისხისაკენ. კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი ამ კარდინალური ამოცანის გადასაწყვეტად.

რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თქვა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში არა მარტო მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს წარმოების მოცულობა, არამედ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მკვეთრად გაძლიერეს ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ფაქტორების როლი, შესრულდეს ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების დიდი პროგრამა. მაგრამ ცალკეული სამინისტროები და უწყებები, და კაცმა რომ თქვას საგეგმო ორგანოებიც, სათანადო ყურადღებას არ უთმობენ კომპლექსურ განვითარებას. ეს იწვევს დისპროპორციებს წარმოებაში, ბინების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის ჩამორჩენას, ანელებს მცირე ქალაქების განვითარებას. მეურნეობის განვითარებისადმი თანამიმდევრული კომპლექსური მიდგომა ხელს შეუწყობს საწარმოო სიმძლავრეების, მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო სრულ გამოყენებას, კადრების დამკვიდრებას.

მეთერთმეტე ხუთწლედში გაგრძელდება უდიდესი ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების შექმნა. ბევრი მათგანი იქმნება აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მკაცრ, საკლებდასახლებულ რაიონებში, სადაც ჯერ-ჯერობით მცირეა ბინით, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების ობიექტებით მოსახლეობის უზრუნველყოფა. საკმარისად არ არის დაბალი ტემპერატურის პირობებში მუშაობისათვის საჭირო ტექნიკა. აი, ამიტომ უაღრესად საჭიროა შეუნელებელი ყურადღება დაეთმოს მომსახურების სფეროს, ამ რაიონებში ადამიანის შრომისა და ცხოვრებისათვის საჭირო ხელსაყრელი პირობების შექმნასთან დაკავშირებული ყველა წარმოების განვითარებას, რასაც დღეს ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს, ვიდრე გადიდებულ ხელფასს.

სკკპ XXVI ყრილობა ჩვენს ქვეყანას დიად პერსპექტივებს უსახავს. თავიანთი ნაცადი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის ფედერაციის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, კიდევ უფრო თავდადებით იმუშავებენ საყვარელი სამშობლოს აყვავებისათვის.

ტრიბუნაზეა ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ტ. ი. კისელიოვი.** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ტიტანურ საქმიანობას საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის, თქვა მან, გულდაჯერებით წარმართავენ ამის საბრძოლო შტაბი — სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საქმეგეყნდ აღიარებული ლიდერის, თანამამედვარი მარქსისტ-ლენინელის, თანამედროვე ეპოქის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. დაჯილდოებულია რა ხალხის ფიქრებისა და მისწრაფებების ლენინურად ბრძნულად გამოხატვის ნიჭით, ლეონიდ ილიას ძე მთლიანად ახმარს თავის მძლავრ გონებასა და დაუოკებელ გულს კომუნიზმისა და მშვიდობის საქმისადმი თავდადებულ სამსახურს.

გამოხატავს რა რესპუბლიკის მშრომელთა ერთსულოვან აზრს, კომუნისტთა ექვსასათასიანი რაზმის სახელით ბელორუსიის კომპარტიის დელეგაცია მთლიანად და სავსებით იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ გეზსა და პრაქტიკულ საქმიანობას. ჩვენ განუხრელად ვიხელმძღვანელებთ და შევასრულებთ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში ჩამოყალიბებულ დებულებებს, დასკვნებსა და ამოცანებს. ჩვენი დელეგაცია მთლიანად უჭერს მხარს ყრილობის განსახილველად წამოყენებულ წინადადებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოქმედ პროგრამაში. საჭირო ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

პარტიისა და ხალხის დიადი ერთიანობა

(დასასრული)

ლხის ძალა კომუნიზმის გამარჯვებისაკენ მიგვიძღვის!“ რა ზუსტი, მკაფიო და ნაღდი სიტყვებია, ხაზგასმით აღნიშნა ყრილობაზე გამოსვლის დროს უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **შ. რ. რაშიდოვმა.** ისინი ნამდვილ წარმოდგენას გვაძლევენ ჩვენი პარტიის მძლავრი და ნათელი გონების, ხალხთან მისი მარადიული და ურღვევი ერთიანობის შესახებ.

როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ლენინურად ბრძნული საანგარიშო მოხსენებას ვისმენთ, თითოეულ ჩვენგანს, პარტიის XXVI ყრილობის დელეგატს, თითოეულ საბჭოთა ადამიანს კანონიერი სიამაყით შეუძლია თქვას: მსოფლიოში არ არის ისეთი მომზადველი ძალა, რომელიც შეედრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რევოლუციურ შემოქმედებას, დიად ჰუმანურ იდეებსა და სახელოვან მიღწევებს.

ხალხის კეთილდღეობისათვის, მტკიცე მშვიდობისათვის ზრუნვით, ჩვენი დიადი საქმის სიმართლისა და გამარჯვების უშრეტი რწმენით გამსჭვალული საანგარიშო მოხსენება პარტიას, ყველა საბჭოთა ადამიანს აიარაღებს ოთხმოციან წლებში მოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამით. მასში თავმოყრილია კომუნისტური აღმშენებლობის უდიდესი, ჭეშმარიტად ფასდაუდებელი გამოცდილება. მოხსენებაში შემუშავებულ უმნიშვნელოვანეს თეორიულ განზოგადებებსა და დასკვნებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მთელი კაცობრიობის ისტორიული ბედისათვის.

შემდეგ დელეგატი შეეხო მეათე ხუთწლედში უზბეკეთის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას, ხალხის კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას. რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულა ხუთწლედის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები. უპირატესი ტემპით ვითარდება ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ფერადი მეტალურგია, ქიმიური, გაზომომყვებელი და მრეწველობის სხვა დარგები, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრამას განსაზღვრავენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანამედროვე აგრარული პოლიტიკის რეალიზაციამ შესაძლებლობა მოგვცა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა აგვყვანა უფრო მაღალ საფეხურზე, უზრუნველგვეყო მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების მყარი ტემპი. რესპუბლიკის მშრომელებმა არ გატეხეს სკკპ XXV ყრილობისათვის მიცემული სიტყვა. პირველად საბჭოური მეგამბეობის ისტორიაში დაძლეულია ექვსმილიონიანი მიჯნა. მარშან სამშობლოს მივყიდეთ რეკორდული რაოდენობის ბამბა — 6 მილიონ 237 ათასი ტონა.

სულ კი მეათე ხუთწლედში სამშობლომ უზბეკეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან მიიღო 28,5 მილიონი ტონა ბამბა — 4 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. ჩვენი გამარჯვება, თქვა ორატორმა, იმის ხელშესახები ნაყოფია, რომ რესპუბლიკას სულ უფრო მზარდ დახმარებას უწევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა, ქვეყნის ყველა მოძმე ხალხი.

დასასრულ უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა სკკპ XXVI ყრილობას აღუთქვა, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი არ დაიშურებენ ძალღონესა და ენერგიას, რათა პირნათლად და ღირსეულად შეასრულონ პარტიის დიდებული წინასწარდასახულობანი, მეთერთმეტე ხუთწლედი დამკვრელური მუშაობის ხუთწლედად აქციონ.

სიტყვა მისალმებისათვის ეძღვნება კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ფ. კასტროს.** ყრილობის დელეგატები და სტუმრები მას მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ახალი სამყაროა, რომელშიც დაემხო ძველი კოლონიური იმპერიები, თქვა მან, სამყაროა, რომელშიც მტკიცდება და ვრცელდება სოციალიზმი, სამყაროა, რომელმაც დასაბამი დაუდო ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ისეთ ხანას, როგორიც არ ახსოვს ისტორიას, — ეს სამყაროა შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ არსებობს საბჭოთა კავშირი, ხორცელდება მისი მტკიცე და პრინციპული მარქსისტულ-ლენინური ინტერნაციონალისტური პოლიტიკა, და საბოლოო ანგარიშით მისი ძლიერების წყალობით, რომელსაც იმპერიალიზმმა არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს.

სწორედ ამიტომ კაცობრიობა ამ დღეებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საბჭოთა კომუნისტების XXVI ყრილობას. ყოველივე აქ ნათქვამი, ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი დიდ ზემოქმედებას მოახდენს საერთაშორისო ცხოვრებაზე.

შეეხო რა საერთაშორისო ვითარების საკითხებს, ორატორმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ ღორძინდება „ცივი ომის“ ენა. უკუგდებულია დაძაბულობის შენელების პოლიტიკა და მის მაგივრად ხორცივლდება სამხედრო უპირატესობის უგუნური დოქტრინა, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულებათა შესრულების ნაცვლად აღებულია სულ უფრო სრულყოფილ სახეობათა იარაღის წარმოების გეზი, რასაც შეუძლია გამოიწვიოს აუღაგმავი გამალებული შეიარაღება. ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ დასავლეთ ევროპაში განალაგონ საბჭოთა კავშირისათვის დამიზნებული საშუალო რადიუსთა მოქმედი 572 ბირთვული რაკეტა. ისინი კვლავ ალაპარაკდნენ ნეიტრონული ბომბზე. ზრდიან საარაკო სამხედრო ბიუჯეტებს. ამგვარი პოლიტიკა უდიდესი დაბაბულობა კაცობრიობის წინაშე.

ემუქრებიან რა ინტერვენციით ლათინურ ამერიკას, ისინი გულით ატარებენ აგრესიულ ზრახვებს, უწინარეს ყოვლისა სალვადორისა და გვატემალის პატრიოტების წინააღმდეგ, აიარაღებენ ამ ქვეყნებში პირსისხლიან მთავრობებს, რომლებიც ნამდვილი გენოციდის პოლიტიკას ადგანან. ისინი ხელს უშლიან, ემუქრებიან ნიკარაგუის რევოლუციურ ხალხს.

ამგვარი, „ყოვლისშემძლეობის პოლიტიკა“ ხალხებს უქადის ჩაგვრით აღსავსე მომავალს, მშვიდობისა და ეროვნული განთავისუფლების ძალების გვერდით რომ არ იყვნენ დღეს გამარჯვებული სოციალიზმის მძლავრი და ურყევი ძალები.

სოციალიზმის კეთილშობილური საქმე, მისწრაფება სამართლიანი, თავისუფალი და ჰუმანური საყაროსადმი ვერასოდეს აღიგვება პირისაგან მიწისა. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა ხალხი და მისი კომუნისტური პარტია მშვიდობას ესწრაფვიან, მშვიდობა არის XXIV და XXV ყრილობებზე შეფუშავებული პროგრამის დევიზი, მისი თავდადასავი. და, როგორც ამას ცხადყოფს მშვიდი, მტკიცე, ვაჟკაცური საანგარიშო მოხსენება და ახალი შესანიშნავი ინიციატივები, რომლებიც წამოაყენა ამ კეთილშობილური პრინციპების დაუცხრომელმა დამცველმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, მშვიდობისათვის ბრძოლა და ყველა ხალხისათვის მისი შენარჩუნების წადილი კვლავაც კომუნისტთა ყურადღების ცენტრშია XXVI ყრილობაზე.

სოციალიზმს არ სჭირდება არც ომი და არც გამალებული შეიარაღება. ეს არის კაპიტალიზმისაგან მისი ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება.

ჩვენ მშვიდობა გვინდა, მშვიდობას მოვითხოვთ. ეს დაადასტურეს რამდენიმე დღის წინათ 92 ქვეყნისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა მიუმხრობელი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე.

კუბას ვერასოდეს დაიჩოქებენ, განაცხადა ორატორმა. ჩვენ ახალ სოციალისტურ საზოგადოებას ვაშენებთ, მოლიანად ჩაბმული ვართ შემოქმედებითს მუშაობაში. მაგრამ ასევე მტკიცედ ვემზადებით სამშობლოს დასაცავად. ჩვენ მივიღებთ ბალმის რტოს, თუ კი მას გამოგვიწვდიან, მაგრამ ამავე დროს აგრესიის წინაშეც არ დავიზეთ უკან. პრინციპებით არ ვაჭრობენ!

ამ ბრძოლაში ჩვენი სუვერენიტეტისათვის, ჩვენს მუდმივ მეცადინეობაში უზრუნველვყოფთ სოციალისტური ეკონომიკის განვითარებას, ყოველთვის გვიწევდნენ ძმურ ინტერნაციონალისტურ დახმარებას საბჭოთა კავშირი, მისი ხალხი, მისი კომუნისტები. ამიტომ აქ, სკკპ XXVI ყრილობაზე, ჩვენ კვლავ გვინდა დავადასტუროთ ჩვენი მარადიული მადლიერება. მადლობას ვიხდით არა მარტო იმისათვის, რაც ჩვენ გაგვიკეთეს, არამედ იმისთვისაც, რაც გაკეთეს ამ დიდმა ქვეყანამ და მისმა დიდმა ხალხმა მთელი კაცობრიობისათვის.

ჩვენი პარტიის მეორე ყრილობამ, თქვა დასასრულ ამხ. ფ. კასტრომ, სიამაყით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და კუბის ურთიერთობა პატივისცემაზე დამყარებული ძმური მეგობრობის მაგალითია. ჩვენ მეგობრები ვართ და ყოველთვის ვიქნებით იმ გულუხვი და გმირი ხალხის ერთგული მეგობრები, რომელმაც ესოდენ დიდი დახმარება გაგვიწია.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ყრილობის დელეგატები და სტუმრები ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. **ლე ზუანის** გამოსვლას.

გულწრფელად გვახარებს მოძმე საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე მიღწევები. საბჭოთა ხალხის კოლოსალური მეცადინეობისა და შემოქმედებითი უნარის მეოხებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი ხელმძღვანელის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წინამძღოლობით. განვლილი ხუთი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი პოტენციალი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ, რომლებიც ახორციელებენ ლენინურ საგარეო პოლიტიკას, დაუცხრომლად იბრძოდნენ საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, ამასთან გამოიჩინეს ინიციატივები, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელება და განიარაღება, საკადრისი პასუხი გასცეს იმპერიალიზმის მილიტარისტული წრეების საშიშ ავანტიურებს, რომლებმაც პირი შეკრეს პეკინის ხელმძღვანელ რეაქციონერებთან.

სსრ კავშირი ყოველნაირად უჭერს მხარს მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლ ხალხთა სამართლიან საქმეს. საბჭოთა სახელმწიფო დღესაც არის მშვიდობის ურყევი ბურჯი, მსოფლიო რევოლუციის საიმედო დასაყრდენი.

სოციალისტური სისტემა, რომლის საფუძველია სსრ კავშირი, დღითიდღე ძლიერდება, კვლავ განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენს კაცობრიობის განვითარებაზე, იმპერიალიზმისა და საერთაშორისო რეაქციის მიერ გამოზრდილი ავისმომასწავებელი დიქტატორული რეჟიმები დღითი-დღე იშლება. ამ სისხლისმღვრელი რეჟიმების ნამსხვრევებზე იქმნება სახელმწიფოები, სადაც ყველაფრის ბატონ-პატრონი ხდება ხალხი. ისინი ირჩევენ ისეთი საზოგადოების მშენებლობის გზას, სადაც არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. ამავე დროს კაპიტალიზმის ციტადელებში მძლავრად, არნახული მასშტაბით ვითარდება მუშათა და დემოკრატიული მოძრაობა.

სრულიად საწინააღმდეგო, საეალალო სურათია იმპერიალიზმის, აგრეთვე პეკინის ექსპანსიონიზმისა და ჰეგემონიზმის ბანაკში. ისწრაფვიან რა დაიბრუნონ დაკარგული პოზიციები, ისინი დღითიდღე სულ უფრო მჭიდროდ უახლოვდებიან ერთმანეთს, პირს კრავენ, ცდილობენ რევოლუციური ძალების კონტრშეტევას. ეს არის ახლო და შუა აღმოსავლეთში, სამხრეთ-დასავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და მსოფლიოს ბევრ სხვა რაიონში დაძაბულობის კერების წარმოშობის მთავარი მიზეზი.

იმპერიალისტებსა და საერთაშორისო რეაქციას ჩაფიქრებული აქვთ გეგმები ჩაერიონ სოციალისტური პოლონეთის საშინაო საქმეებში. მაგრამ ეს ამაო ცდებია. სოციალიზმის სისტემა უძლეველია.

ვიეტნამის კომუნისტური პარტიის IV ყრილობამ, რომელმაც გაითვალისწინა თავისი ქვეყნის ისტორიული განვითარების კანონები და თავისებურებანი, დასახა სოციალისტური რევოლუციის განვითარების კურსი, რომლის ძირითადი შინაარსია — განამტკიცოს პროლეტარიატის დიქტატურა, მშრომელი ხალხის უფლება იყოს კოლექტიური ბატონ-პატრონი. ვიეტნამელი ხალხი ენთუზიაზმით ჩაება ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

პეკინის მმართველი წრეებისა რეაქციულ დაჯგუფებას, თქვა შემდეგ ამხ. ლე ზუანმა, ერთიანი სოციალისტური ვიეტნამი მიაჩნია დარკოლებად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში თავისი ექსპანსიონისტური და ჰეგემონისტური მიზნების განხორციელების გზაზე სწორედ ამიტომ იგი აშკარად ახორციელებს მტრულ პოლიტიკას ვიეტნამის მიმართ. ჯალათების პოლ პოტ-იენგ სარის-ქმეიუ სამფანის ხელით კამპუჩიაში მან ომი გააჩაღა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთის საზღვარზე, ხოლო შემდეგ აგრესია მოახდინა ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრის მთელ გაყოლებაზე. ვიეტნამელმა ხალხმა უკუგდო პეკინელი ექსპანსიონისტები, დაიცვა ეროვნული სუვერენიტეტი, უზრუნველყო მშვიდობა და სტაბილურობა მსოფლიოს ამ რაიონში.

ვიაროთ ლენინური კურსით, შეეკავშირდეთ და განვახორციელოთ ყოველმხრივი თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან — ასეთია ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს უცვლელი გზა. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებამ ახალი გაქანება და სიღრმე მიანიჭა ჩვენი ქვეყნების ამხანაგურ ურთიერთობასა და ძმობას. ვიეტნამის კომუნისტური პარტიის, მთელი ხალხის სახელით ორატორმა საბჭოთა კავშირს, სხვა სოციალისტურ ქვეყნებს გულწრფელი მადლობა გადაუხადა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის კეთილშობილური გამოვლინებისათვის.

აქედან, ამ სასახლიდან, თქვა სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ა. **ბონდარენკომ,** ახალი ძალით მტკიცედ გაისმის მთელ პლანეტაზე ლენინური პარტიის ხმა, რომელიც ხალხისადმი, თავისუფლების, პროგრესისა და მშვიდობის იდეალებისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითია.

გასულ ხუთწლეულში, თქვა ორატორმა, მთელ ქვეყანასთან დამკვრელური რიტმით, შთაგონებით მუშაობდნენ ჩვენი ოლქის მშრომელებიც. მრეწველობაში რეალიზებულია ბევრი ზეგეგმითი პროდუქცია, ერთნახევარჯერ გაიზარდა კაპიტალური მშენებლობის მოცულობა. მკაცრი ამინდის პირობების მიუხედავად, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა სამშობლოს ბეღლებში დაბინავეს 14 მილიონ ტონა პური, ყრილობის გახსნისათვის ვადაზე ნახევარი წლით ადრე დამზადდა დონის პირველი ატომური რეაქტორის კორპუსი. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა წინ ოლქის სოციალურ-კულტურული განვითარების პროგრამის განხორციელების გზაზე.

იმ მაღალი შეფასებით აღფრთოვანებულმა დონელმა მშრომელებმა, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მისცა ინიციატივას ვიმუშაოთ უჩამორჩენილებად, მეათე ხუთწლედი ძირითადად ჩამორჩენილი საწარმოების გარეშე დაამთავრეს მრეწველობაში, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობასა და მომსახურების სფეროში.

დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ვოლგოდონსკში ატომური ენერგეტიკული მაჭანამშენებლობის მსხვილი ცენტრის შექმნას. მთელი ქვეყნის, სახელოვანი საბჭოთა კომკავშირის უდიდესი მხარდაჭერით ვადამდე ამოქმედდა რეაქტორის მოწყობილობის 4 მილიონი კილოვატი სიმძლავრენი; წინ არის ახალი მიჯნა — 1983 წლისათვის დავასრულოთ „ატომმაშენის“ მეორე რიგის მშენებლობა. ამასთან დაკავშირებით დიდ აქტუალობას იძენს ქალაქ ვოლგოდონსკის განვითარებაში დაშვებული ჩამორჩენის სწრაფი დაძლევა, ყოველისაფერ ადეკვატურად წარმოუდგენელია სტაბილური შრომითი კოლექტივების შექმნა.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობით აღიქვეს დონელმა კომუნისტებმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დავალება — შექმნან და დაიწყონ ისეთი სამარცვლო კომბაინის გამოშვება, რომელიც შეესაბამება უმაღლეს თანამედროვე მოთხოვნებს. ახლა „როსტოვსოფლმაშენის“ კონვეიერიდან უკვე ჩამოდის მოდერნიზებული, უფრო მწარმოებლური „ნივეები“, ხოლო მომდინარე წლის ალოობაში მონაწილეობას მიიღებს გადადებული გამარჯვებანაობის მქონე ახალი კომბაინების საცდელი პარტია. ამავე დროს კონსტრუქტორები აქტიურად შრომობენ კიდევ უფრო მძლავრი მარცვლეულის ასაღები მანქანის შექმნისათვის.

ახალ ხუთწლედში პარტიულმა ორგანიზაციამ ბევრი უნდა იმუშაოს, რათა საფუძვლიანად დაძლიოს ჩამორჩენა ხორცის, მზესუმზრის წარმოებაში, აამაღლოს სარწყავი მოწამთქმელების ეფექტიანობა, ისევე როგორც წინათ, დონელი კომუნისტებისათვის ყველაზე დამკვრელური უბანი კვლავ არის მარცვლეულის წარმოების გადიდება. საბჭოთა მეურნეობა „გიგანტის“ განთქმული კოლექტივის მოწოდებით ახლა მეურნეობებში გაიშალა შეჯიბრება ხუთწლედის სასტარტო წლის უხვი მოსავლისათვის.

საოლქო პარტორგანიზაციისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს დონის ეკონომიკის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრებს პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებთან 1979 და 1980 წლებში, რომელთა დროს გამოითქვა ბევრი საგულისხმო რჩევა სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ. საოლქო კომიტეტმა გააძლიერა ყურადღება ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა კადრებთან მუშაობისადმი, ახორციელებს ღონისძიებებს პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლებისა და მათი ინიციატივის განვითარებისათვის.

ტრიბუნაზეა სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **მ. ზ. შაკიროვი.** ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, თქვა მან, ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები, რომლებმაც პარტიის ეკონომიკური სტრატეგია აღიქვეს მშობლიური, ღვიძელ საქმედ, მტკიცედ იბრძვიან საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, მუშაობის ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესებისათვის. მეათე ხუთწლედის დავალებანი შეკასრულეთ ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით. მნიშვნელოვნად გაიზარდა სამრეწველო წარმოების მოცულობანი, გეგმის გადამეტებით რეალიზებულია ნახევარ მილიარდ მანეთისაზე მეტი ნაწარმი. ეს ჩვენი მუშათა კლასის საჩუქარია მშობლიური პარტიის XXVI ყრილობისადმი.

საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც ახორციელებს პარტიის აგრარულ პოლიტიკას, რომლის მეცნიერული საფუძვლები შეიმუშავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა, დადებით შედეგებს მიაღწია სოფლის მეურნეობის აღმავლობაში. გაიზარდა შრომის ენერგოაღჭურვილობა, ამაღლდა მიწათმოქმედების კულტურა, დაინერგა სოფლის მეურნეობის კულტურების ინტენსიური ჯიშები. ეურის ხუთწლედი წარმატებით შეასრულეთ — სახელმწიფოს ბეღლებში დაგაბინავეთ დაახლოებით 30 მილიონი ფუთი მარცვლეული.

ბევრი რამ გავაკეთეთ მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში.

ჩვენი ლენინური პარტიისათვის, აღნიშნა ორატორმა, საბჭოთა ადამიანების სიამაყის გრძნობას ბადებს ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება. ეს არის უდიდესი მარქსისტულ-ლენინური დოკუმენტი, რომელიც გამსჭვალულია რევოლუციური ოპტიმიზმითა და ხალხის შემოქმედებითი ძალის ღრმა რწმენით, მასში საფუძვლიანად და მეცნიერულადაა განალიზებული ჩვენი საზოგადოების მიღწევები და პრობლემები; ზუსტი რეალისტური პოზიციითაა განსაზღვრული კომუნისტური აღმშენებლობის შემდგომი პროგრამა.

ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებული მუშაობით უზრუნველყონ დასახული მიჯნების მიღწევა.

ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ფერადი ლითონების სამადოები, თქვა შემდეგ ორატორმა. გახნილული და შემუშავებულია კონკრეტული ღონისძიებანი სანედლეულო ბაზის განვითარებისათვის. დღემდე არ დაწყებულა პირველი რიგის ობიექტების აგება, რაც იწვევს ურალელი მეტალურგებისა და მინერალური სასუქების მწარმოებელი ქიმიური მრეწველობის საწარმოებისათვის ნედლეულის მიწოდების შემცირებას.

დელეგატმა განაცხადა, რომ საბჭოთა ბაშკირეთის კომუნისტები, ყველა მშრომელი დამკვრელური შრომით აღნიშნავენ ახალ ხუთწლედს, ღირსეულ წვლილს შეიტანენ პარტიის წინასწარდასახულებათა განხორციელებისათვის, სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში, კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

ფეიქრებს, თქვა ივანოვოს ვ. ი. ლენინის სახელობის კამეოლის კომბინატის მქსოველმა ამხ. **ვ. ნ. გოლუბევამ,** აქვთ ტერმინი — „ქსელი“. ეს არის ძაფი, რომელიც განსაზღვრავს ქსოვილის მთავარ თვისებას, ანიჭებს მას ლეზგინკა, ბოსტონი, ბარეგზავნილი, ბროკადი, ატლასი, ფარდული, ფარჩა, ბაბთა, ბალაბანი, ბაიკა, ბამბა, ბამბეული, ბანდა, ბანკა, ბანკეტი, ბანკეტიორი, ბანკეტიორობა, ბანკეტიორობენ, ბანკეტიორობენ, ბანკეტიორობენ